ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.482201310**

თარიღი:**13/01/2022**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2022 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებისა და ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მმართველის 2022 წლის 13 იანვრის №34/6 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2022 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2021 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 8 იანვრის №ბ48.48210081 ბრძანება.

3. კონტროლი ბრძანების შერულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (გ.ყურაშვილი)

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი